

1. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის (გარდა ამბულატორიული მონიტორინგისა), ქრონიკული და ვირუსული ჰეპატიტ(ებ)ის (გარდა “A” ტიპის ჰეპატიტისა), თირკმლის ქრონიკული უკმარისობისა და მათი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯები, გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა და გადაუდებელი/სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობებისა;
2. თანდაყოლილი (გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა და შემდეგი პათოლოგიებისა: თიაქარი, კრიპტორხიზმი, დერმოიდული კისტა, ფიმოზი, დაკრიოცისტიტი, ასტიგმატიზმი, ჰემანგიომა) დაავადებების და მათი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
3. სქესობრივი გზით გადამდები (ვენერიული) დაავადებების (კერძოდ და მხოლოდ: ათაშანგი, გონოკოკური ინფექცია, ქლამიდიური ლიმფოგრანულომა, შანკრიოიდი (რბილი შანკრი), საზარდულის ლიმფოგრანულომა (დონოვანოზი)) და შიდსის სამედიცინო მომსახურების ხარჯები, გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა.
4. სიმსუქნესთან და ჭარბ წონასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა.
5. ფსიქიური დაავადებების, და მათი გართულებების სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
6. უნაყოფობის, პოტენციის დარღვევების დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარჯები,
7. ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული ხარჯები.
8. სხეულის განზრახ თვითდაზიანებით გამოწვეულ დაავადებათა სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
9. მკურნალობის ხარჯები გამოწვეული დაზღვეულის მიერ თავისი თავის განზრახ საფრთხეში ჩაგდებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მოქმედებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;
10. ალოკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ნივთიერებ(ებ)ის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
11. სამედიცინო მომსახურების ხარჯები, გამოწვეული დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად და აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;
12. პროფესიული და სარისკო სპორტის სახეობებში (კერძოდ: კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, ჰაერნაოსნობა, პარაშუტიზმი, დელტაპლანერიზმი, პარაგლაიდინგი, რაფტინგი, ან წყალქვეშა ცურვა სასუნთქი აპარატების გამოყენებით, დოდი, სპორტული რბოლა სიჩქარეზე, მრავიანი ნაგებობით, ავტომანქანებით ან სხვა მრავიანი საშუალებებით, სამხედრო საბრძოლო ხელოვნება) მონაწილეობით გამოწვეული დაავადებებისა და შემთხვევების სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
13. არასამედიცინო ჩვენებით გაპირობებული და თვითმკურნალობის ხარჯები;
14. საქართველოს კანონმდებლობით არარეგისტრირებულ მედიკამენტების, ბიოლოგიურად აქტიური ან/და კვებითი დანამატების, პირადი ჰიგიენის ან/და მოვლის საშუალებების შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯები;
15. ეგზოპროთეზებთან და მაკორეგირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობებთან, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული ხარჯები, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის დროს;

16. მხედველობის კორექციას ექსიმერ-ლაზერით, სათვალეების, ლინზებისა და სმენის აპარატის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები.
17. გეგმური ვაქცინაცია და იმუნიზაცია (გარდა პროგრამით გათვალისწინებულისა).
18. კოსმეტიკური მკურნალობის, პლასტიკური ქირურგიის, წონის კორექციასთან, დაკავშირებული ხარჯები.
19. არასამედიცინო ჩვენებით აბორტის, კონტრაცეფციის, ხელოვნური განაყოფიერების, რეპროდუქტოლოგიის ხარჯები;
20. სარეაბილიტაციო მკურნალობის, მასაჟის, ფსიქოთერაპევტის, ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურების ხარჯები;
21. ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები (გარდა ოჯახის ექიმის ცნობისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცნობებისა);
22. არატრადიციული მედიცინის (აკუპუნქტურა, მანუალური თერაპია, სუჯოკთერაპია, ვარჯიში და ა.შ.) ხარჯები.